საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ68. 682632011**
თარიღი:**16/11/2026**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარიხევში მდებარე, 36.02.32.002 საკადასტრო კოდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 1277 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ნანგრევის (ყოფილი ფერმა) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ა'' და ,,ე.ე'' ქვეპუნქტების, 119-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 180-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 09 მარტს დამტკიცებულ N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2026 წლის 5 ოქტომბერს Nგ-69.69262785 განკარგულებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, 36.02.32.002 საკადასტრო კოდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარიხევში მდებარე 1277 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ნანგრევის (ყოფილი ფერმა) პრივატიზების მიზნით, საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით 8129 (რვა ათას ასოცდაცხრა) ლარი.
2. განისაზღვროს:

ა) წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 30%. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ბ) „ ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%;

გ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება და უძრავი ქონების შემძენმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია;

დ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3. აუქციონი გამოცხადდეს 2026 წლის 17 ნოემბერს დღის 13.00 საათზე და დასრულდეს 2026 წლის 7 დეკემბერს დღის 13.00 საათზე.

4.ინფორმაცია განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: www.eauction.ge ;

5. ინფორმაცია გამოქვეყნდეს ხარაგაულის მერიის ვებ-გვერდზე: www.kharagaulinews.gov.ge და მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენში „ახალ ხარაგაულში“.

6.დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება და აღნიშნული ბრძანების მოთხოვნის სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებ-გვერდზე www.eauction.ge -ზე განთავსება.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩაN7).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი